ს.ს.ი.პ. მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

# ბრძანება

N 2-15 28/03/2022 ქ. თბილისი

## „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში” მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის N2-1258 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა (თანდართული სახით).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ეს ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე